

თიბისი ბანკი ახალ ფილიალს ხსნის და მუშაობის აქტიურ რეჟიმს უბრუნდება

თიბისი ბანკის ყველა ახალი მენაბრე ავტომატურად ჩაერთვება ფონდში „ბიზნესმენები დაზარალებულთა დასახმარებლად“

პრესრელიზი

25 აგვისტოს, 14:00 საათზე, თიბისი ბანკი ახალ ფილიალს გახსნის (მის: აღმაშენებლის გამზ. №138), სადაც ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი პრეს-კონფერენციას გამართავს და ჟურნალისტებს მიაწვდის ინფორმაციას იმ ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ, რომელსაც ბანკი გეგმავს უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

ამასთან, პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდება თიბისი ბანკის მიერ შექმნილი საქველმოქმედო ფონდის - „ბიზნესმენები დაზარალებულთა დასახმარებლად“ და თიბისის ერთობლივი საქველმოქმედო აქციის პირობებიც. პრეს-კონფერენციას ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მამუკა ხაზარაძე წარუძღვება.

ბანკი მუშაობის აქტიურ რეჟიმს უბრუნდება

თიბისი ბანკი აქტიურად აგრძელებს საქმიანობას და უახლოეს მომავალში არაერთ სიახლეს გეგმავს, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკის აქტიურ განვითარებას როგორც ლოკალურ, ისე რეგიონალურ ბაზარზე.

რაც მთავარია, უკვე პრაქტიკულად გაუქმებულია ყველა ის შეზღუდვა მომსახურებებში, რომელიც ქვეყანაში საომარი მდგომარეობის გამო დაწესდა ბანკებში და, მათ შორის, თიბისი ბანკში.

კერძოდ:

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody's: B 3 and Ba1

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.

- **20 აპრილიდან განახლდა მაღაზიების ქსელში განვადების გაცემა** – მომსახურება უკვე აღდგენილია აღდგენილია 100-მდე ობიექტში და დანარჩენი ობიექტების ჩართვა ეტაპობრივად მიმდინარეობს.

- **აღდგენის პროცესშია საკრედიტო ბარათების ლიმიტები** – ამჟამად თიბისი ბანკის საკრედიტო ბარათებზე სრული ლიმიტი უკვე აღდგენილი აქვს იმ კლიენტებს, რომლებსაც თიბისი ბანკში ერიცხებათ ხელფასები. დღეიდან დაიწყო ლიმიტების ჩართვა დანარჩენ დადებითი საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტებზე და ეტაპობრივად მათაც აღუდგებათ სრული საკრედიტო ლიმიტი. გარდა ამისა, თანდათან დაიწყო ახალი საკრედიტო ბარათების გაცემაც ახალ სახელფასო კლიენტებზე.

- **ბანკი იწყებს სხვა სესხების გაცემას** – დაიწყო სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების გაცემა, თუმცა შედარებით მცირე მასშტაბით. ეტაპობრივად სრულად აღდგება ამ სესხების მთლიანი მასშტაბი და ყველა ნაირსახეობა.

- **აქტიურად გაგრძელდება ფილიალების და ბანკომატების ქსელის გაფართოება** – წლის ბოლომდე თიბისი ბანკი გეგმავს 10 ახალი ფილიალის გახსნას და 50 ახალი ბანკომატის დამონტაჟებას.

- **ასევე გაგრძელდება ქსელის გაფართოება აზერბაიჯანში** – აგვისტოში ბაქოში გაიხსნა „თიბისი კრედიტის“ ერთი ახალი ფილიალი და უახლოეს პერიოდში გაიხსნება კიდევ ერთი ფილიალი. ორივე ფილიალი შეიქმნა იმ თანამედროვე სტანდარტებით, რომელიც ამერიკული კომპანია „სენტეოს“ დახმარებით დანერგა თიბისი ბანკმა საქართველოში.

- **ჩაირთო თიბისი ბანკის ელექტრონული მომსახურებები**, რომლებიც რისკების გამო დროებით გათიშული იყო – კერძოდ, დღეიდან ცაირთვება ინტერნეტ-ბანკი, ხოლო ეტაპობრივად აღდგება დანარჩენი ტექნოლოგიური მომსახურებების უწყვეტობის რეგულირება.

თიბისი ბანკის და საქველმოქმედო ფონდის ერთობლივი აქცია

თიბისი ბანკი დღეიდან იწყებს ახალ აქციას, რომლის თანახმად ყველა მეანაბრე, ვინც 29 აგვისტოდან თიბისი ბანკში გახსნის ანაბარს, მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიღებასთან ერთად, გახდება იმ საქველმოქმედო ფონდის ერთ-ერთი თანამონაწილე, რომელიც 10 დღის წინ სწორედ თიბისი ბანკის ინიციატივით შეიქმნა.

კერძოდ, მეანაბრის მიერ შემოტანილი თანხის 1%-ს თიბისი ბანკი დამატებით გამოყოფს და ამ თანხას, ანაბრის გახსნის მომენტში, კლიენტის სახელით გადარიცხავს ფონდში „ბიზნესმენები დაზარალებულთა დასახმარებლად“.

აღსანიშნავია, ეს თანხა არ გამოაკლდება ანაბრის საპროცენტო სარგებელს – მას თიბისი ბანკი დამატებით გაიღებს იმისათვის, რომ მისი თითოეული მეანაბრე გახდეს თიბისის მიერ ინიცირებული ამ მასშტაბური სოციალური აქციის თანამონაწილე.

რაც მთავარია, აქციის პერიოდში თიბისი ბანკში გახსნილი ანაბრებზე დაერიცხება გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი: +1%. ამასთან, ყველა მეანაბრე ჩაერთვება გათამაშებაში “გახდი მილიონერი თიბისი ბანკთან ერთად”.